# სოციალური კვლევის პროექტირება:

## სამეცნიერო დასკვნები თვისებრივ კვლევებში

*გარი ქინგი*
*რობერტ ო. კეოჰეინი*
*სიდნი ვერბა*

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა
თბილისი, 2014

გარი ქინგის, რობერტ ო. კეოჰეინის და სიდნი ვერბას ***„სოციალური კვლევის პროექტირება: სამეცნიერო დასკვნები თვისებრივ კვლევებში“*** ითარგმნა და დაიბეჭდა საქართველოს უნივერსიტეტისა და საქართველოში აშშ-ის საელჩოს წიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში.

საქართველოს უნივერსიტეტი მადლობას უხდის აშშ-ის საელჩოს გაწეული თანადაფინანსების, თანადგომისა და თანამშრომლობისათვის.

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა, *2014*
*The University of Georgia Publishing House, 2014*

ამერიკის შეერთებული შტატების საელჩო
*Embassy of the United States*

*Funded through the Book Translation Program, U.S. Embassy in Georgia*
დაფინანსებულია საქართველოში აშშ-ის საელჩოს წიგნების თარგმნის პროგრამის ფარგლებში

თარგმანი ინგლისურიდან

მთარგმნელი - ნინო ხელაია

სამეცნიერო რედაქტორი:
თინათინ ბოჭორიშვილი - ფილოსოფიურ მეცნიერებათა დოქტორი, ფროფესორი

რედაქტორი:
ნანა ფრუიძე - ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, ასოცირებული პროფესორი

კომპიუტერული უზრუნველყოფა - ჯულიეტა ანდღულაძე

საქართველოს უნივერსიტეტის გამომცემლობა © 2014
ყველა უფლება დაცულია

ISBN **978-99940-50-99-4**

საქართველო, თბილისი, 0171, მ. კოსტავას 77ა.
ელ.ფოსტა: info@ug.edu.ge; ug@ug.edu.ge

# Designing Social Inquiry

## SCIENTIFIC INFERENCE IN QUALITATIVE RESEARCH

*Gary King*
*Robert O. Keohane*
*Sidney Verba*

P R INC E TON UNIV E R S I T Y PR E S S
P R INC E TON, NEW JE R S E Y

Copyright © 1994 by Princeton University Press
Published by Princeton University Press, 41 William Street,
Princeton, New Jersey 08540
In The United Kingdom: Princeton University Press,
Chichester, West Sussex
All Rights Reserved
*Library of Congress Cataloging-in-Publication Data*
King, Gary.
Designing social inquiry : scientific inference in qualitiative
research / Gary King, Robert O. Keohane, Sidney Verba.
p. cm.
Includes bibliographical references and index
ISBN 0-691-03470-2 (cloth : alk. paper)
ISBN 0-691-03471-0 (pbk. : alk. paper)
1. Social sciences—Methodology. 2. Social sciences—
Research. 3. Inference
I. Keohane, Robert Owen.
II. Verba, Sidney. III. Title.
H61.K5437 1994 93-39283
300′.72—dc20 CIP
This book has been composed in Adobe Palatino
Princeton University Press books are printed on
acid-free paper and meet the guidelines
for permanence and durability of the Committee
on Production Guidelines for Book Longevity
of the Council on Library Resources
Printed in the United States of America
10 9 8 7 6 5 4 3
Third printing, with corrections and expanded index, 1995

# სარჩევი

*შესავალი* *9*

**პირველი თავი** *13*
**„მეცნიერების“ საკითხი სოციალურ მეცნიერებებში**

1.1 შესავალი *13*
*1.1.1. კვლევის ორი სტილი, დასკვნის ერთი ლოგიკა* *13*
*1.1.2. სამეცნიერო კვლევის განსაზღვრება სოციალურ მეცნიერებებში* *21*
*1.1.3. მეცნიერება და კომპლექსურობა* *26*
1.2 კვლევის დიზაინის ყველაზე მნიშვნელოვანი კომპონენტები *31*
*1.2.1. საკვლევი კითხვის დახვეწა* *33*
*1.2.2. თეორიის დახვეწა* *43*
*1.2.3. მონაცემთა ხარისხის გაუმჯობესება* *50*
*1.2.4. არსებულ მონაცემთა გაუმჯობესებული გამოყენება* *59*
1.3 წიგნის ამ ნაწილში განხილული საკითხები: *61*
*1.3.1. დაკვირვებადი მახასიათებლების გამოყენება თეორიისა და მონაცემების ერთმანეთთან დასაკავშირებლად* *61*
*1.3.2. მიზნის უკეთ მისაღწევად – „ბერკეტის მაქსიმიზაციის“ ცნება* *62*
*1.3.3. განუსაზღვრელობის დონის ასახვა ნაშრომში* *66*
*1.3.4. როგორ ფიქრობენ სოციალური მეცნიერები: სკეპტიციზმი და ურთიერთსაპირისპირო ჰიპოთეზები* *68*

**მეორე თავი**
**დესკრიფციული დასკვნა** *70*
2.1 ზოგადი ცოდნა და კონკრეტული ფაქტები *72*
*2.1.1. „ინტერპრეტაცია“ და დასკვნა* *74*
*2.1.2. „უნიკალურობა“, კომპლექსურობა და გამარტივება* *84*
*2.1.3. ნიმუშთა შედარებითი კვლევა* *87*

2.2 დასკვნის წარმოება: მონაცემთა შეგროვების მეცნიერული მიზანი 90
2.3 თვისებრივი კვლევის ფორმალური მოდელები 95
2.4 მონაცემთა შეგროვების ფორმალური მოდელები 98
2.5 ისტორიული დეტალების შეჯამება 102
2.6 დესკრიფციული დასკვნა 105
2.7 დესკრიფციული დასკვნის შეფასების კრიტერიუმი 119
*2.7.1. მიუკერძოებელი დასკვნები 119*

**მესამე თავი**
**კაუზალობა და კაუზალური დასკვნა** *123*
3.1 კაუზალობის განმარტებისათვის *125*
*3.1.1 კაუზალობის განმარტება და რაოდენობრივი მაგალითი 125*
*3.1.2 კაუზალობის თვისებრივი მაგალითი 135*
3.2 კაუზალობის ალტერნატიული განმარტებების ახსნისათვის *140*
*3.2.1 „კაუზალური მექანიზმები“ 140*
*3.2.2 „მრავალჯერადი კაუზალობა“ 143*
*3.2.3 „სიმეტრიული“ და „ასიმეტრიული“ კაუზალობა 148*
3.3 კაუზალური ეფექტის შესაფასებლად საჭირო ვარაუდების შესახებ *150*
*3.3.1 ერთეულის ჰომოგენურობა 150*
*3.3.2. პირობითი დამოუკიდებლობა 155*
3.4. კაუზალური დასკვნის შეფასების კრიტერიუმი *159*
3.5 კაუზალური თეორიების შექმნის წესები *163*
*3.5.1 წესი I - მოიფიქრეთ ფალსიფიცირებადი თეორიები 164*
*3.5.2 წესი II - შექმენით შინაგანად ლოგიკური თეორია 173*
*3.5.3 წესი III - ფრთხილად შეარჩიეთ დამოკიდებული ცვლადები 177*
*3.4.5 წესი IV - მაქსიმალურად უზრუნველყავით სიზუსტე 180*
*3.5.5. წესი V - ჩამოაყალიბეთ თეორიები შეძლებისდაგვარად მრავლის მომცველად 185*

**მეოთხე თავი** 188
**რას უნდა დავაკვირდეთ**
4.1 კვლევის განუსაზღვრელი დიზაინი 193
*4.1.1 უფრო მეტი დასკვნა, ვიდრე - დაკვირვება* 195
*4.1.2. მულტიკოლინეარულობა (Multicollinearity)* 200
4.2 შემთხვევითი შერჩევის შეზღუდვები 204
4.3 შერჩევის მიკერძოება 210
*4.3.1 შერჩევა დამოკიდებულ ცვლადზე* 211
*4.3.1.1 შერჩევის მიკერძოების მკვლევრის მიერ სტიმულირებული მაგალითები* 217
*4.3.1.2 გარემოს მიერ სტიმულირებული შერჩევის მიკერძოების მაგალითები* 223
*4.3.2 შერჩევა ამხსნელი ცვლადის მიხედვით* 226
*4.3.3 სხვა ტიპის შერჩევის მიკერძოებები* 229
4.4 დაკვირვებათა განზრახ შერჩევა 230
*4.4.1 დაკვირვებათა განზრახ შერჩევა ამხსნელი ცვლადის მიხედვით* 231
*4.4.2 დამოკიდებული ცვლადის ღირებულებების შერჩევა* 234
*4.4.3 დაკვირვებათა შერჩევა ორ - ამხსნელ და დამოკიდებულ – ცვლადზე დაყრდნობით* 236
*4.4.4 დაკვირვებათა შერჩევა ძირითადი, კაუზალური ცვლადის მუდმივობის პირობებში* 242
*4.4.5 დაკვირვებათა შერჩევა დამოკიდებული ცვლადის მუდმივობის პირობებში* 245
4.5 დასკვნის სახით 247

**მეხუთე თავი**
**რისი აცილება შეგვიძლია თავიდან** 249
5.1 გაზომვის ცდომილება 251
*5.1.1 გაზომვის სისტემური ცდომილება* 258
*5.1.2 გაზომვის არასისტემური ცდომილება* 262
*5.1.2.1. გაზომვის არასისტემური ცდომილება ამხსნელ ცვლადში* 263
*5.1.2.2 გაზომვის არასისტემური ცდომილება დამოკიდებულ ცვლადში* 271

5.2. რელევანტური ცვლადების გამოტოვება: მიკერძოება 278
*5.2.1 გამოტოვებული ცვლადებით გამოწვეული მიკერძოების ხარისხის დადგენა* *278*
*5.2.2 ცვლადის გამოტოვებით გამოწვეული მიკერძოების მაგალითები* *290*
5.3 არარელევანტური ცვლადების კვლევაში შეტანა: არაეფექტურობა *301*
5.4 ენდოგენურობა *307*
*5.4.1 მიკერძოებული დასკვნების გასწორება* *310*
*5.4.2 დამოკიდებული ცვლადის გარჩევა* *312*
*5.4.3 ენდოგენურობის გადაქცევა გამოტოვებული ცვლადის პრობლემად* *314*
*5.4.4 დაკვირვებათა შერჩევა ენდოგენურობის თავიდან აცილების მიზნით* *317*
*5.4.5 ამხსნელი ცვლადის დაშლა* *321*
5.5 ამხსნელი ცვლადისთვის ღირებულების მინიჭება *326*
5.6 კვლევის სიტუაციის გაკონტროლება *330*
5.7 დასკვნის სახით *343*

**მეექვსე თავი**
**როგორ გავზარდოთ დაკვირვებათა რიცხვი** *345*
6.1 ერთდაკვირვებიანი დიზაინი კაუზალური დასკვნისათვის *346*
*6.1.1. „კრიტიკულ“ ნიმუშთა შესწავლა* *346*
*6.1.2. ანალოგიებით აზროვნება* *351*
6.2. რამდენი დაკვირვებაა საკმარისი? *353*
6.3. მცირე რაოდენობის დაკვირვებათა გადაქცევა მრავალ დაკვირვებად. *360*
*6.3.1. იგივე საზომები, ახალი ერთეულები* *363*
*6.3.2 მსგავსი ერთეულები, ახალი საზომები* *370*
*6.3.3 ახალი საზომები და ახალი ერთეულები* *372*
დასკვნითი შენიშვნები *380*

წინამდებარე წიგნში, ჩვენ განვავითარეთ დასაბუთებული დესკრიფციული და კაუზალური დასკვნების ერთიანი მიდგომა თვისებრივი კვლევისთვის, სადაც რიცხობრივი საზომები ან შეუძლებელია, ანაც - სულაც არასასურველი. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ კარგი რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის დიზაინები ერთმანეთისგან ფუნდამენტურად არ განსხვავდებიან. ეს მიდგომა ერთნაირად შეეხება სამეცნიერო მუშაობის განსხვავებულ ფორმებს.

ამ წიგნის საშუალებით, ჩვენი მიზანი იყო თვისებრივ მკვლევართათვის იმისკენ მოწოდება, რომ მეცნიერული დასკვის საკითხები სერიოზულად აღიქვან, და თავიანთ ნაშრომებში გაითვალისწინონ. ვიმედოვნებთ, რომ ჩვენს მიერ შემოთავაზებული დასკვნის წარმოების ერთიანი ლოგიკა დაეხმარება თვისებრივ მკვლევრებს, და სავარაუდოდ, ასევე სასარგებლო იქნება სოციალური მეცნიერებების სხვა კვლევებისთვისაც. აქედან გამომდინარე, იმედი გვაქვს, რომ ამ წიგნს წაიკითხავენ და კრიტიკულად მიუდგებიან პოლიტიკური მეცნიერები და ყველა სხვა მიმართულების სოციალური მეცნიერები კარიერის ნებისმიერ ეტაპზე – დაწყებული საველე, რაოდენობრივ მკვლევართაგან, დამთავრებული სტატისტიკის ანალიტიკოსებით; როგორც დამწყები სტუდენტები, ასევე სამეცნიერო ხარისხის მქონე პირებიც. ჩვენ ვიყენებთ მათემატიკურ ჩანაწერებს, ვინაიდან ისინი განსაკუთრებით გვეხმარებიან თვისებრივი მეთოდების კონცეფციების განმარტებაში; თუმცა, ჩვენი აზრით, მათემატიკისა თუ სტატისტიკის რაიმე წინასწარი ცოდნა სულაც არ არის საჭირო მათ გასაგებად, და აგრეთვე, მათემატიკურ ჩანაწერთა უმრავლესობა შეიძლება უბრალოდ გამოვტოვოთ ისე, რომ უწყვეტობა არ დაიკარგოს.

უნივერსიტეტის ადმინისტრაციაში ხშირად საუბრობენ ხოლმე კვლევისა და სწავლების კომპლემენტარულობის შესახებ. მართლაც, სწავლება და კვლევა ერთმანეთთან საკმაოდ თანმხვედრია, თანაც იმგვარად, რომ ამ ორივე პროცესს მოსდევს ახალი ცოდნა და სხვებთან

ამ ცოდნის კომუნიკაციის აუცილებლობა, თუმცა ალბათ თითოეულის შემთხვევაში ეს განსხვავებულად ხდება. ეს წიგნი ადასტურებს ამ საქმიანობების სინქრონულ ბუნებას. ჩვენ 1989 წლიდან ვმუშაობთ წიგნზე, და ასევე, ჰარვარდის უნივერსიტეტის მმართველობის სკოლაში, ერთობლივად ვასწავლით სამაგისტრო და სადოქტორო სემინარს „თვისებრივი მეთოდები სოციალურ მეცნიერებაში." სემინარები საკმაოდ ცოცხალ ხასიათს ატარებდა, და მათი ინსპირაციით, ხშირად შექმნილა ვრცელი სამეცნიერო ნაშრომები ჩვენსა და ჩვენს სტუდენტთა მიერ. ჩვენი ინტელექტუალური ბრძოლები ყოველთვის მეგობრული იყო ხოლმე, მაგრამ ჩართულობის ჩვენს მიერ შემუშავებული წესები ნიშნავდა იმას, რომ „ჩვენ ვთანხმდებოდით შეუთანხმებლობის არსებობაზე," ხოლო კომპრომისს დანაშაულად ვთვლიდით. თუ რომელიმე ჩვენგანი, რაიმე ეტაპზე არ იყო დარწმუნებული საკითხში, თავს მოვალედ მივიჩნევდით გაგვეგრძელებინა დისკუსია. საბოლოოდ კი, თითოეულმა ჩვენგანმა, ერთმანეთისაგან, და ჩვენი სტუდენტებისაგან საკმაოდ ბევრი ვისწავლეთ თვისებრივი და რაოდენობრივი კვლევების შესახებ, და შევცვალეთ ბევრი ჩვენი თავდაპირველი პოზიცია. პირველადი მიზნების გარდა, ეს წიგნი წარმოადგენს განაცხადს ჩვენი ძნელად მოპოვებული პოზიციის შესახებ თვისებრივ კვლევაში სამეცნიერო დასკვნაზე.

ამ წიგნის პირველი ვერსია დავასრულეთ 1991 წელს, და მომდევნო წლებში აქტიურად ვეწეოდით მის გადახედვით სამუშაოებს. გერი ქინგმა შემოგვთავაზა, რომ ჯერ დაგვეწერა წიგნი, უმეტესობა თავების პირველადი ვერსიების წინასწარი ვარიანტები მოგვემზადებინა, და შემდეგ კი შევდგომოდით გადახედვის გრძელ გზას. თუმცა, წიგნი იმდენად აქტიურად იქნა გადაწერილი რობერტ კეოჰეინისა და სიდნი ვერბას მიერ, ისევე როგორც გერი ქინგის მიერ, რომ ჩვენთვის შეუძლებელი გახდა მრავალი პასაჟისა თუ ნაწილის ავტორების გარჩევა.

ამ ვრცელი პერიოდის განმავლობაში, წიგნის წინასწარ ვარიანტს ვაცნობდით კოლეგებს შეერთებული შტატებიდან, და დიდად დავალებული ვართ მათგან გამორჩეული კომენტარების არ დაშურებისათვის. ასევე

მადლიერებას გამოვთქვამთ ჩვენი სტუდენტებისადმი როგორც ჰარვარდში, ისე სხვა უნივერსიტეტებშიც; მათ უწევდათ ხელნაწერებთან გამკლავება და მათი რეაქციები ჩვენთვის მნიშვნელოვან მითითებებს წარმოადგენდა ხელნაწერის გადახედვის პროცესში. ისეთი პროექტისათვის, როგორსაც ეს წიგნი წარმოადგენს, აშკარად სარისკოა ყველა იმ სახელის დასახელება, რომელთაც დახმარება გაგვიწიეს (ამიტომაც ჩვენ ვუშვებთ უყურადღებობის გამო ვინმეს გამორჩენის შესაძლებლობას). თუმცა გვსურს შემდეგი ინდივიდების ხსენება: ქრისტოფერ ჰ. ახენი, ჯონ ალდრიხი, ჰეივარდ ალკერი, რობერტ ჰ. ბეითსი, ჯეიმს ბატისტა, ნათანიელ ბეკი, ნენსი ბურნსი, მაიკლ კობი, დავიდ კოლიერი, გერი კოქსი, მაიკლ დეში, დევიდ დესლერი, იორგ დომინგესი, ჯორჯ დაუნსი, მიტჩელ დუნაიერი, მეთიუ ევანგელისტა, ჯონ ფირჯონი, ენდრიუ გელმანი, ალექსანდერ ჯორჯი, ჯოშუა გოლდშტაინი, ენდრიუ გრინი, დევიდ გრინი, რობინ ჰანა, მაიკლ ჰისკოქსი, ჯეიმს ე. ჯონსი, მაილს კალერი, ელიზაბეტ კინგი, ალექსანდერ კოცემიაკინი, შტეფან დ. კრასნერი, ჯერბერტ კრიტცერი, ჯეიმს კუკლინსკი, ნათან ლეინი, პიტერ ლანჯი, ტონი ლევილი, ჯუდი ლეიზერი, ჯეკ ს. ლევი, დანიელ ლითლი, შინ ლინჯოუნსი, ლიზა ლ. მარტინი, ჰელენ მილნერი, ჟერარდო ლ. მუნკი, ტიმოტი პ. ნოკენი, ჯოზეფ ს. ნაი, ჩარლზ რაგინი, სვარნა რაჯაგოპალანი, შამარა შანტუ რილი, დევიდ როკე, დევიდ როდი, ფრანსის როზენბლუთი, დევიდ შვიდერი, კოლინს გ. შაკელფორდი, უმცროსი კენეტ შეფსლი, დანიელ უოლში, კაროლინ ვარნერი, სტივ ავივ იეტივი, მერი ზერბინოსი, და მაიკლ ციურნი. მადლობას ვუხდით ასევე სტივ ვოსს ინდექსის მომზადებისათვის, და პრინსტონის უნივერსიტეტის პრესის თანამშრომლებს უოლტერ ლიპინკოტს, მალკომ დებევუას, პიტერ დაგერტის და ალესსანდრა ბოოკს. ასევე მადლობას მოვახსენებთ მეცნიერების ეროვნულ ფონდს საკვლევი გრანტი SBR-9223637-ის გარი ქინგისათვის გადაცემისათვის. რობერტ კეოჰეინი მადლობას უხდის ჯონ სიმონ გუგენჰაიმის მემორიალურ ფონდს იმ სემესტრში გაწეული თანადგომისათვის, როდესაც ამ წიგნზე მუშაობა დასრულდა.

ჩვენ (სხვადასხვა გადანაცვლებებითა და კომბინაციებით) ასევე გვქონდა ბედნიერება ამ წიგნის ადრეული ვერსიების წარდგენისა მიდვესტის პოლიტიკური მეცნიერების ასოციაციის (ჩიკაგო 2-6 აპრილი, 1990 წელი), პოლიტიკური მეთოდოლოგიის ჯგუფის (დიუკის უნივერსიტეტი, 18-20 ივლისი 1990), ამერიკული პოლიტიკური მეცნიერების ასოციაციის (ვაშინგტონი 29 აგვისტო-1 სექტემბერი, 1991), სოციალური მეცნიერებების ფილოსოფიის და მეთოდოლოგიის (ჰარვარდის უნივერსიტეტი, საერთაშორისო საკითხთა ცენტრი, 25 სექტემბერი, 1992 წელი), სტატისტიკური აპლიკაციების ინტერდისციპლინარული კონსორციუმის კოლოქვიუმის სერიების (ინდიანას უნივერსიტეტი, 4 დეკემბერი 1991 წელი), გლობალური თანამშრომლობისა და ცვლილების ინსტიტუტის სასემინარო სერიების (კალიფორნია ბერკლის უნივერსიტეტი, 15 იანვარი, 1993 წელი), და ილინოისის უნივერსიტეტის (18 მარტი, 1993 წელი) შეხვედრებზე.

გარი ქინგი
რობერტ ო. კეოჰეინი
სიდნი ვერბა

*კემბრიჯი, მასაჩუსეტსი*